ხელშეკრულება № 136
(გამარტივებული შესყიდვა)

ქამბროლაური 22 ივლისი 2013წ

შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეული ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის კახაბერ ფარჯანაძის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „მარინა მურუსიძე“ (შემდგომში მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად სამუშაოების მთლიანი ან ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (45200000) შესყიდვა.

2.შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია სოფ. ზნაკვაში მურუსიძეებისა და კიკვაძეების უბნების წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 .ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 6202 (ექვსიათას ორას ორი) ლარით, კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და მიწოდების ვადები

4.1.მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ სამუშაოები შესრულებული იქნება საამშენებლო წესებისა და ნორმების დაცვით და შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს.

4.2 შესრულებული სამუშაოების სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება არანაკლებ 1 (ერთი) წლით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ხარვეზები მიღებულია მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების, არასწორი ექსპლუატაციისა და მექნიკურად მიყენებული დაზიანების გამო.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა დგება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მთავრდება 2013 წლის 23 აგვისტოს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მიღება –ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6. ანგარიშწორება მხარეებს შორის

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება ლარში, გადარიცხვით, „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, 2012 წლის 12 ივლისის, №1-1/1463 ბრძანების შესაბამისად, რომლის შინაარსიც ცნობილია მიმწოდებლისათვის.

6.2. მიმდინარე ანგარიშსწორება შესაძლებელია ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შუალედური აქტის საფუძველზე.

6.4 შესყიდვის ობიექტის საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 7 დღის განმავლობაში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შესრულებული სამუშაოების მოცულობასა და ხარისხზე შემსყიდველის მხრიდან კონტროლს ახორციელებს გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახური, ზნაკვის თემის რწმუნებული და საინიციატივო ჯგუფი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 მოწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მომწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.15% ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის თარიღიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორსს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი
ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქუჩა #1
ს/ს ლიბერთი ბანკის ამბროლაურის ფილიალი
კოდი #220101421
ა/ა #GE59LB0120113005212000
ს/კ #222936633

ხელმძღვანელი - კახაბერ ფარჯანაძე

მიმწოდებელი:
ი/მ „მარინა მურუსიძე"
ამბროლაური, რუსთაველის ქ. #3
ს/ს ლიბერთი ბანკის ამბროლაურის ფილიალი
კოდი #LBRTGE22
ა/ა #GE82LB0610002136020386
ს/კ #04001011514
ტელ.: 599 17 61 72

ინდ. მეწარმე - მარინა მურუსიძე